

პრესრელიზი

საერთაშორისო ტურნირი საკრეისერო იახტებით

ფოთი – ბათუმი – ანაკლიაში 26–31 ივლისს გაიმართა საერთაშორისო ტურნირი საკრეისერო იახტებით: „შავი ზღვის თასი – საქართველო 2012“. ეკიპაჟები წარმოადგინა ქართულმა კომპანიებმა: „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“, ქართული ლუდის კომპანია „ზედაზენმა“, კომპანია „ბილაინმა“, თბილისისა და ფოთის მერიებმა. ტურნირზე დაფიქსირდა უპრეცედენტო და განსაკუთრებული მოვლენა: პირველად რეგიონის ისტორიაში რეგატაში მონაწილეობა მიიღო 6–მა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირმა. მათ შორის სამი ვაჟი და სამი გოგონა გახლდათ. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ მიერ წარმოდგენილმა გუნდმა მეორე ადგილი მოიპოვა, ხოლო მისი ეკიპაჟის წევრი, ეტლით მოსარგებლე რატი იონათამიშვილი, წლის იახტსმენად იქნა ცნობილი.

ტურნირი ჩატარდა საქართველოს აფროსნობის ფედერაციის და „მოძრაობა ხელმისაწვდომი გარემოსათვის“ ორგანიზატორებით. იდეის ავტორი - ჟურნალისტთა კავშირი „გელათი“.

ღონისძიების დასკვნით ნაწილში, ფოთის იახტკლუბში გაიმართა კონცერტი გიორგი სუხიტაშვილის მონაწილეობით და დაჯილდოების ცერემონიალი. დახურვისას მონაწილეებმა ცაში გაუშვეს ფარნები. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ წარმომადგენლებმა, რომლებიც ესწრებოდნენ დასკვნით ღონისძიებას, სპეციალური სიგელებით და დიპლომებით დააჯილდოვეს გამარჯვებულები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები.

21.08.2012

კომპანია „ჯი-აი-ჯი“ ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინდუსტრიული ჯგუფია საქართველოში. მისი ბიზნეს პორტფელი მოიცავს ნახშირის მოპოვებას, ელექტროენერჯის გამომუშავებას (ჰიდრო, ბუნებრივ აირზე და ნახშირზე მომუშავე სადგურები) ბუნებრივი აირით ვაჭრობასა და უძრავი ქონების მართვას.

